საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ადმინისტრაციული მიწერილობა
№ 004131

„11" ივლისი 2025 წ.

ქ. თბილისი
(შედგენის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი; მის: ქ. თბილისი, ვ. გორგასლის I შესახვევი №1
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: შპს „ტექნო ინვესტი 2009" (ს/ნ 245629431), მის: ქ. ქუთაისი, ჯავახიშვილის ქ. №26, კორპუსი №7, სართული №1.
(ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი, პირადობ[redacted]ს სახელწოდება, იურიდიული მისამართი)

დირექტორი: [redacted] (2019 წლის 11 აპრილის №2-318 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება).

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: ოქმი №004131 ადმინისტრაციული ოქმის დანართი №1
(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)

გასატარებელი ღონისძიებები: იხილე №004131 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2.

(დავალების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

თან ერთვის დანართი: 9 ფურცელი.

(დანართის №, გვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა z)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79[8]

(კანონის მუხლ(ებ)ი, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი)

მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად.

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: ადმინისტრაციული ზედამხედველობის

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - მაღაროს სამმართველოს

[illegible] [illegible] [illegible]

თანამდებობის პირის ხელმოწერა: ნ. [illegible]

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

[illegible] [illegible]

(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

2025 წლის 11 ივლისის №004131 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2024 წლის 8 ნოემბრის №DES02400000527 ბრძანების საფუძველზე, დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, განხორციელდა შპს „ენერჯი ინვესტი 2009"-ის (ს/კ 245629431) კუთვნილი, შუახევი-ხულოს (ხიჭაურის დასახლებიდან გოდერძის უღელტეხილამდე) 54 კმ. სიგრძის, P=6კგ/სმ² გაზგამანაწილებელი ქსელის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 8 ივლისის №2-624 ბრძანებით გადაცემული, მინისტრის 2019 წლის 11 აპრილის №2-318 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმება.

შემოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევები:

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 11 აპრილის №2-318 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-3 პუნქტის** შესაბამისად, კომპანია საქმიანობის არ ახორციელებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად. კერძოდ:

1.1 გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად, სახიდე გადასასვლელებზე, გაზსადენის მილის გასატარებლად ყოველ 3 მეტრში არ არის მოწყობილი საკიდრები და ხიდის ორივე მხარეს, თავში და ბოლოში, არ არის მოწყობილი ჩამკეტი ონკანები;

1.2 გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად გაზსადენის საავტომობილო გზის გადაკვეთის ადგილებში, გარსაცმი მილის ერთ-ერთ ბოლოზე არ არის მოწყობილი შესაბამისი სტანდარტული სიმაღლის გამწოვი სანთელი;

1.3 გზშ ანგარიშის შემარბილებელი ღონისძიების შესაბამისად, ატმოსფერულ ჰაერში წვის პროდუქტის გავრცელების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით, კომპანია არ ახორციელებს მანქანა-დანადგარების ტექნიკურ გამართულობაზე კონტროლს;

1.4 მონიტორინგის გეგმის შესაბამისად სამშენებლო მოედნის ტერიტორიაზე, კომპანია არ ატარებს ხმაურის ინსტრუმენტალურ გაზომვებს;

1.5 გზშ ანგარიშის შემარბილებელი ღონისძიებების გეგმის შესაბამისად კომპანია არ უზრუნველყოფს პერსონალისათვის ინსტრუქტაჟის ჩატარებას ატმოსფერული ჰაერის, ზედაპირული წყლების, ნიადაგის/გრუნტის დაბინძურების პრევენციის მიზნით;

1.6 გზშ ანგარიშის შემარბილებელი ღონისძიებების გეგმის შესაბამისად, კომპანია არ უზრუნველყოფს პერსონალისათვის ინსტრუქტაჟის და ტესტირების ჩატარებას შრომის უსაფრთხოებისა და ხანძრის პრევენციის საკითხებზე;

1.7 გზშ ანგარიშის შემარბილებელი ღონისძიებების გეგმის შესაბამისად, კომპანია არ უზრუნველყოფს პერსონალისათვის ინსტრუქტაჟის ჩატარებას ნარჩენების მართვის საკითხებზე, არ აწარმოებს შესაბამის დოკუმეტაციას ნარჩენების წარმოქმნის, დროებითი დასაწყობების და შემდგომი მართვის პროცესების აღსარიცხად. ასევე, სამშენებლო მოედანზე, ნარჩენების შესაგროვებლად არ არის განთავსებული მარკირებული, ჰერმეტული კონტეინერები, არ არის მოწყობილი სახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსებისათვის სპეციალური სასაწყობო სათავსი;

1.8 გზშ ანგარიშის ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის შესაბამისად სამშენებლო მოედანი არ არის აღჭურვილი ავარიაზე რეაგირებისთვის საჭირო შემდეგი აღჭურვილობებით:

1.8.1 პირადი დაცვის საშუალებებით;

1.8.2 ხანძარსაქრობი აღჭურვილობით (სტანდარტული ხანძარმქრობები, ვედროები, ქვიშა, ნიჩბები);

1.8.3 გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების აღჭურვილობით;

1.8.4 ნავთობპროდუქტების დაღვრის აღმოსაფხვრელი აღჭურვილობით (გამძლე პოლიეთილენის ტომრები, აბსორბენტის ბალიშები და პოლიეთილენის ლენტა);

2. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 11 აპრილის №2-318 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-4 პუნქტის** შესაბამისად შპს „ენერჯი ინვესტი 2009“-ს სამინისტროში შესათანხმებლად არ აქვს წარდგენილი, პროექტის გავლენის ზონაში არსებულ ცხოველებზე, ჰაბიტატებზე სათანადო კვლევაზე დაყრდნობით მომზადებული ინფორმაცია;

3. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 11 აპრილის №2-318 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-5 პუნქტის** შესაბამისად, კომპანიამ, მშენებლობის დაწყებამდე არ უზრუნველყო "ევროპის ველური ბუნების და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ" (ბერნის) კონვენციის შესაბამისად შექმნილ "ზურმხუზტის ქსელის" (გოდერძი GE0000026) შეთავაზებულ საიტზე, არსებულ სახეობებზე და ჰაბიტატებზე ზეგავლენის შეფასება და შესაბამისად მისი სამინისტროში წარდგენა;

4. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 11 აპრილის №2-318 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-6 პუნქტის** შესაბამისად, არ აქვს შემუშავებული და შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი";

5. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 11 აპრილის №2-318 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-7 პუნქტის** შესაბამისად, არ აქვს შემუშავებული და სამინისტროსთან შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმა;

6. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 11 აპრილის №2-318 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-9 პუნქტის** შესაბამისად, ფუჭი ქანების სანაყაროს შესახებ ინფორმაცია არ აქვს წარდგენილი შესაბამის უფლებამოსილ ორგანოში;

7. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 11 აპრილის №2-318 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-10 პუნქტის** შესაბამისად, კომპანიას სამშენებლო მოედნის პროექტი არ აქვს შემუშავებული და შესათანხმებლად წარდგენილი შესაბამის უფლებამოსილ ორგანოში;

8. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 11 აპრილის №2-318 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-11 პუნქტის** შესაბამისად, მშენებლობის დაწყებამდე არ უზრუნველყო გეოლოგიურად საშიშ უბნებზე/ზონებში გეოდინამიკური პროცესების შესაძლო გააქტიურების პრევენციის მიზნით,

შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრა და აღნიშნული დოკუმენტაციის შესაბამის უფლებამოსილ ორგანოში შესათანხმებლად წარმოდგენა;

9. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 11 აპრილის №2-318 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-12 პუნქტის** შესაბამისად შპს „ენერჯი ინვესტი 2009“, მიწის სამუშაოების შესრულების პროცესში არ ახორციელებს გრუნტის წყლებზე მონიტორინგს;

10. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 11 აპრილის №2-318 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-13 პირობის** შესაბამისად, კომპანიას სამშენებლო სამუშაოების დაწყების შესახებ ინფორმაცია არ აქვს წარდგენილი შესაბამის უფლებამოსილ ორგანოში.

ზემოაღნიშნული პირობების შეუსრულებლობა წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^8 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას.

ინსპექტირების შედეგად ასევე გამოვლინდა გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შეუსრულებლობის ფაქტი.

შემოწმების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე, 2024 წლის 20 დეკემბერ,ს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^8 მუხლის პირველი ნაწილის, 53^2-ე მუხლისა და ნარჩენების მართვის კოდექსის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, კომპანიის მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №090796 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა შუახევის მაგისტრატ სასამართლოს.

სასამართლომ, 2025 წლის 1 აპრილის №4-110/24 დადგენილებით, შპს „ენერჯი ინვესტი 2009“ სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^8 მუხლის პირველი ნაწილით და 53^2 გათვალისწინებულ ქმედებაში, ხოლო სახდელის სახით შეუფარდა ჯარიმა 5 000 ლარის ოდენობით.

ამასთან, სასამართლომ კომპანია სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად, ნარჩენების მართვის კოდექსის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში,

ხოლო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე გამოუცხადა სიტყვიერი შენიშვნა.

დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 46-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ადგენს გონივრულ ვადას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულებისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ენერჯი ინვესტი 2009"-ის მიმართ, შემუშავდა დეპარტამენტის 2025 წლის 11 ივლისის №004131 ადმინისტრაციული მიწერილობა.

2025 წლის 11 ივლისის №004131 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

შპს „ენერჯი ინვესტი 2009“-ის (ს/კ 245629431) კუთვნილი, შუახევი-ხულოს (ხიჭაურის დასახლებიდან გოდერძის უღელტეხილამდე) 54 კმ. სიგრძის, P=6კგ/სმ² გაზგამანაწილებელი ქსელის მშენებლობისა და ექსპლუატაციაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 8 ივლისის №2-624 ბრძანებით გადაცემული, მინისტრის 2019 წლის 11 აპრილის №2-318 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, **შპს „ენერჯი ინვესტი 2009“ ვალდებულია:**

1. **ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან** საქმიანობა მუდმივად **განახორციელოს** გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად (2019 წლის 11 აპრილის №2-318 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-3 პუნქტი**). მათ შორის:

1.1 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში** უზრუნველყოს სახიდე გადასასვლელებზე, გაზსადენის მილის გასატარებლად ყოველ 3 მეტრში საკიდრების მოწყობა და ხიდის ორივე მხარეს, თავში და ბოლოში, ჩამკეტი ონკანების მოწყობა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;

1.2 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს გაზსადენის საავტომობილო გზის გადაკვეთის ადგილებში გარსაცმი მილის ბოლოზე შესაბამისი სტანდარტული სიმაღლის გამწოვი სანთელის მოწყობა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;

1.3 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ პერიოდულად განახორციელოს** ატმოსფერულ ჰაერში წვის პროდუქტის გავრცელების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით, მანქანა-დანადგარების ტექნიკურ გამართულობაზე კონტროლი, გზშ ანგარიშის შემარბილებელი ღონისძიების შესაბამისად;

1.4 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** ჩაატაროს, ხოლო **შემდგომ პერიოდულად განახორციელოს** სამშენებლო მოედნის ტერიტორიაზე, ხმაურის ინსტრუმენტული გაზომვები, მონიტორინგის გეგმის შესაბამისად;

1.5 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** ატმოსფერული ჰაერის, ზედაპირული წყლების, ნიადაგის/გრუნტის დაბინძურების პრევენციის მიზნით ჩაატაროს, **ხოლო შემდგომ პერიოდულად უზრუნველყოს** პერსონალის ინსტრუქტაჟი გზშ ანგარიშის შემარბილებელი ღონისძიებების გეგმის შესაბამისად;

1.6 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** ჩაატაროს, ხოლო **შემდგომ პერიოდულად განახორციელოს,** პერსონალის ინსტრუქტაჟი და ტესტირება შრომის უსაფრთხოებისა და ხანძრის პრევენციის საკითხებზე, გზშ ანგარიშის შემარბილებელი ღონისძიებების გეგმის შესაბამისად;

1.7 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** ჩაატაროს, ხოლო **შემდგომ პერიოდულად** განახორციელოს, პერსონალის ინსტრუქტაჟი ნარჩენების მართვის საკითხებზე;

1.8 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ მუდმივად უზრუნველყოს** ნარჩენების წარმოქმნის, დროებითი დასაწყობების და შემდგომი მართვის პროცესების აღრიცხვის შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება;

1.9 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** სამშენებლო მოედანზე უზრუნველყოს ნარჩენების შესაგროვებლად შესაბამისი მარკირებისა და სათანადო რაოდენობის ჰერმეტული კონტეინერების განთავსება და სამეწარმეო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენები (შედუღების ელექტროდის ნარჩენები) მოათავსოს შესაბამის კონტეინერებში, **ამავე ვადაში მოაწყოს** სახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსებისათვის განკუთვნილი სპეციალური სასაწყობო სათავსი, გზშ ანგარიშის შემარბილებელი ღონისძიებების გეგმის შესაბამისად;

1.10 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან სამშენებლო მოედანზე მუდმივად იქონიოს ავარიაზე რეაგირებისთვის საჭირო აღჭურვილობები, გზშ ანგარიშის ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის შესაბამისად. მათ შორის: ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** განათავსოს:

- პირადი დაცვის საშუალებები;
- ხანძარსაქრობი აღჭურვილობა - სტანდარტული ხანძარმქრობები, ვედროები, ქვიშა, ნიჩბები;
- გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების აღჭურვილობა - სტანდარტული სამედიცინო ყუთები;
- ნავთობპროდუქტების დაღვრის აღმოსაფხვრელი აღჭურვილობა (გამძლე პოლიეთილენის ტომრები, აბსორბენტის ბალიშები და პოლიეთილენის ლენტა).

2. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში** სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან შესათანხმებლად წარმოადგინოს სათანადო კვლევაზე დაყრდნობით მომზადებული ინფორმაცია (ფოტომასალასთან ერთად), უშუალოდ პროექტის გავლენის ზონაში არსებულ ცხოველებზე (განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და საქართველოს "წითელ ნუსხით" დაცულ სახეობებზე, აგრეთვე ენდემურ სახეობებზე) და ჰაბიტატებზე, მათზე შესაძლო ზემოქმედებაზე, ამ

ნ. ეთერიძე

ზემოქმედების თავიდან აცილებაზე და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებებზე. შემდგომში საქმიანობა განახორციელოს აღნიშნული შეთანხმებული დოკუმენტის შესაბამისად (2019 წლის 11 აპრილის №2-318 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მე-4 პუნქტი);

3. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში უზრუნველყოს „ევროპის ველური ბუნების და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ" (ბერნის) კონვენციის შესაბამისად შექმნილ „ზურმხუზტის ქსელის" (გოდერძი GE0000026) შეთავაზებულ საიტზე, იქ არსებულ სახეობებზე და ჰაბიტატებზე ზეგავლენის შეფასება (შეფასებაში უნდა აისახოს, საქმიანობის სახეების მიხედვით მოსალოდნელი ზეგავლენა, სათანადო დასაბუთებით; შემარბილებელი და ზემოქმედების თავიდან აცილების ქმედებები) და ე.წ. მიზანშეწონილობის შეფასების სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს კვლევის შედეგებზე დაყრდნობით მომზადებული საკონსერვაციო გეგმის შეთანხმება (2019 წლის 11 აპრილის №2-318 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მე-5 პუნქტი);

4. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში უზრუნველყოს, „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის" შემუშავება და სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შესათანხმებლად წარდგენა, ხოლო შეთანხმების შემდგომ მუდმივად უზრუნველყოს წარმოდგენილი გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება (2019 წლის 11 აპრილის №2-318 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მე-6 პუნქტი);

5. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში უზრუნველყოს ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება და სამინისტროში შესათანხმებლად წარდგენა, ხოლო საქმიანობის განხორციელების პროცესში უზრუნველყოს შეთანხმებული გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესაბამისად (2019 წლის 11 აპრილის №2-318 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მე-7 პუნქტი);

6. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში უზრუნველყოს ფუჭი ქანების სანაყაროების და რეკულტივაციის შესახებ დეტალური პროექტების სააგენტოში შესათანხმებლად წარდგენა, shape ფაილებთან ერთად, სამუშაოების განხორციელება უზრუნველყოს შეთანხმებული პროექტის შესაბამისად (2019 წლის 11 აპრილის №2-318 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მე-9 პუნქტი);

7. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში უზრუნველყოს სამშენებლო ბანაკის/მოედნის პროექტის შემუშავება, shape ფაილებთან ერთად და სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა. სამუშაოების განხორციელება უზრუნველყოს შეთანხმებული პროექტის შესაბამისად (2019 წლის 11 აპრილის №2-318 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მე-10 პუნქტი).

8. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს გეოლოგიურად საშიშ უბნებზე/ზონებში გეოდინამიკური პროცესების შესაძლო გააქტიურების პრევენციის მიზნით, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრა და აღნიშნული დოკუმენტაციის სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა. შემდგომში სამუშაოების განხორციელება უზრუნველყოს შეთანხმებული დოკუმენტის შესაბამისად (2019 **წლის 11 აპრილის №2-318 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების** მე-11 **პუნქტი**);

9. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან მიწის სამუშაოების შესრულების პროცესში **მუდმივად** უზრუნველყოს გრუნტის წყლებზე მონიტორინგი (2019 **წლის 11 აპრილის №2-318 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების** მე-12 **პუნქტი**).

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ადმინისტრაციული მიწერილობა
№ 004132

„11" ივლისი 2025 წ. ქ. თბილისი
(შედგენის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)
დეპარტამენტი: მის: ქ. თბილისი, ვ. გორგასლის I შესახვევი №1.

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: შპს „ენერჯი ინვესტი 2009"(ს/ნ 245629432)
(ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი,
მის: ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ №26, კორპუსი №7, ბინა №1.
პირადობის მოწმობის ნომერი, საცხოვრებელი ადგილი, იურიდიული პირის შემთხვევაში – იურიდიული პირის სახელწოდება, იურიდიული მისამართი)
დირექტორი [redacted] (2019 წლის 11
ივნისის №2-318 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება)

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: იხილე №004132
ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1.
(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)

გასატარებელი ღონისძიებები: [illegible] საქართველოს კანონის 57-ე მუხლის მე-7 პუნქტის და „საქართველოს [illegible] [illegible] [illegible] [illegible], რომელიც [illegible] [illegible] - [illegible] [illegible]-ის [illegible] [illegible], რომელიც [illegible] [illegible] [illegible] [illegible]" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 თებერვლის №61 დადგენილების მე-10 მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე, [illegible] [illegible] [illegible] [illegible] ([illegible] [illegible] [illegible]) [illegible] კოდით №23.01.36.525; №23.01.36.403 და №23.02.36.504 [illegible] [illegible] - [illegible] [illegible] [illegible] [illegible].

(დავალების არსი, ნაჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

თან ერთვის დანართი: 2 [illegible].

(დანართის №, გვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა z)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 53^2-ე მუხლის და 84-ე მუხლის 3^1 ნაწილის შესაბამისად.

(კანონის მუხლ(ებ)ი, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი)

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: [illegible] ზედამხედველობის [illegible] [illegible] [illegible] - [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

თანამდებობის პირის ხელმოწერა: [illegible]

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

[illegible]

(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

2025 წლის 11 ივლისის №004132 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2024 წლის 8 ნოემბრის №DES02400000527 ბრძანების საფუძველზე, დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, განხორციელდა შპს „ენერჯი ინვესტი 2009"-ის (ს/კ 245629431) კუთვნილი, შუახევი-ხულოს (ხიჭაურის დასახლებიდან გოდერძის უღელტეხილამდე) 54 კმ. სიგრძის, P=6კგ/სმ² გაზგამანაწილებელი ქსელის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 8 ივლისის №2-624 ბრძანებით გადაცემული, მინისტრის 2019 წლის 11 აპრილის №2-318 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმება.

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სამშენებლო მასალის დასაწყობების ტერიტორია წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 23.01.36.525; 23.01.36.403 და 23.02.36.504), შესაბამისად კომპანია მას იყენებდა არამიზნობრივად, რაც წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 53²-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას.

ინსპექტირების შედეგად ასევე გამოვლინდა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის ფაქტი.

შემოწმების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე, 2024 წლის 20 დეკემბერს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁸ მუხლის პირველი ნაწილის, 53²-ე მუხლისა და ნარჩენების მართვის კოდექსის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, კომპანიის მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №090796 ოქმი, რომელიც საქმის მასალებთან ერთად გადაეგზავნა შუახევის მაგისტრატ სასამართლოს.

სასამართლომ, 2025 წლის 1 აპრილის №4-110/24 დადგენილებით, შპს „ენერჯი ინვესტი 2009" სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁸ მუხლის პირველი ნაწილით და 53² მუხლით გათვალისწინებულ ქმედებაში, ხოლო სახდელის სახით შეუფარდა ჯარიმა 5 000 ლარის ოდენობით.

2025 წლის 11 ივლისის №004132 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

ამასთან, სასამართლომ კომპანია სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად, ნარჩენების მართვის კოდექსის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში, ხოლო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე გამოუცხადა სიტყვიერი შენიშვნა. დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ენერჯი ინვესტი 2009"-ის მიმართ, შემუშავდა დეპარტამენტის 2025 წლის 11 ივლისის №004132 ადმინისტრაციული მიწერილობა.